საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

2025/2026 სასწავლო წელი

02.12.2025
www.geostat.ge

02.12.2025

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები (2025/2026 სასწავლო წელი)

2025/2026 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოში 2 292 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (სკოლა) იყო, მათ შორის 2 086 საჯარო და 206 კერძო. წინა სასწავლო წელთან შედარებით, ქვეყანაში არსებული სკოლების რაოდენობა 2 ერთეულით შემცირდა. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სკოლა (17.1%) იმერეთში ფიქსირდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა 2015/2016-2025/2026 სასწავლო წლის დასაწყისისთვის.

დიაგრამა №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა,
(ათასი)



02.12.2025

2025/2026 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 644.2 ათასი მოსწავლე სწავლობდა, რაც წინა სასწავლო წლის მაჩვენებელს 0.6 პროცენტით აღემატება. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობის 88.8 პროცენტი სწავლობს, ხოლო კერძო სკოლებში - 11.2 პროცენტი. მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობიდან 48.4 პროცენტი გოგოა, ხოლო 51.6 პროცენტი - ბიჭი.

რეგიონებს შორის, ყველაზე მეტი მოსწავლე (36.0%) თბილისში სწავლობს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2015/2016-2025/2026 სასწავლო წლების დასაწყისისთვის.

დიაგრამა №2

მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში
(ათასი)



02.12.2025

2025 წელს საშუალო განათლება მიიღო 41.4 ათასმა მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 0.8 პროცენტით ნაკლებია. დაწყებითი განათლება მიიღო 55.0 ათასმა მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1.8 პროცენტით ნაკლებია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ მოსწავლეთა რიცხოვნობა, რომელთაც მიიღეს დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლება, 2021-2025 წ.წ.

დიაგრამა №3

დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების მიღების მაჩვენებლები[1)]
(ათასი)



[1)] 2025 წლის 1 ივლისიდან საბაზო საფეხური გახდა 4 წლიანი, ხოლო საშუალო საფეხური 2 წლიანი. 2024-2025 სასწავლო წლის დასრულების შემდგომ IX კლასელებმა სწავლა გააგრძელეს X კლასში საფეხურის დაძლევის გარეშე.

02.12.2025

2025/2026 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული იყო 66.3 ათასი მასწავლებელი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 0.5 პროცენტით აღემატება. მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას ქალები შეადგენენ, კერძოდ, მასწავლებლების 87.6 პროცენტი ქალია, ხოლო 12.4 პროცენტი კაცი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მასწავლებლების რიცხოვნობა 2015/2016-2025/2026 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №4

მასწავლებლების რიცხოვნობა საჯარო და კერძო სკოლებში,
(ათასი)



მონაცემთა წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge